საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/17 **6/07/2023**

რეცენზია პროტოკოლსა და კლინიკურ გზამკვლევზე

„გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვა პირველად ჯანდაცვაში“

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს რეცენზირებისთვის წარედგინა პროტოკოლი და კლინიკური გზამკვლევი „გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვა პირველად ჯანდაცვაში“.

იმის გათვალისწინებით, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და კერძოდ, გულის ქრონიკული იშემიური დაავადება საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში ავადობისა და სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია, განსაკუთრებულად იკვეთება აღნიშნული სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, დაავადების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

პირველადი ჯანდაცვა, როგორც პაციენტის პირველი დონის კონტაქტი სამედიცინო სისტემასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქრონიკული არაგადამდები დაავადებების პრევენციის და გართულებების თავიდან არიდების კუთხით, ამდენად, სტანდარტიზებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოს არსებობა პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ეფექტური სამედიცინო დახმარების მიწოდების მიზნით.

პროტოკოლის და გზამკვლევის სამუშაო ჯგუფი წარმოდგენილია როგორც პირველადი ჯანდაცვის, ისე ჰოსპიტალურ სექტორში მოღვაწე დარგის ექსპერტებით, დოკუმენტები ეყრდნობა ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების 2019 წლის „ქრონიკული კორონარული სინდრომის დიაგნოსტიკისა და მართვის“, ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის/ამერიკის გულის ასოციაციის/ამერიკის თორაკალური ქირურგიის/პრევენციული კარდიოვსკულური მედიცინის საზოგადოების 2014 წლის „გულის სტაბილური იშემიური დაავადების მქონე პაციენტთა მართვა“ გაიდლაინებს აგრეთვე, UpTodate-ის, გაერთიანებული სამეფოს გაიდლაინებს და მსგავს თემაზე შემუშავებულ სხვა საერთაშორისო სახელმძღვანელოებსა და მეცნიერულ მტკიცებულებებს, რაც დოკუმენტებში მოცემული რეკომენდაციების მაღალი ხარისხის გარანტიაა.

პროტოკოლთან ერთად ავტორთა ჯგუფის მიერ, ასევე, შემუშავდა გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვის კლინიკური გზამკვლევი, რომელიც წარმოდგენილია პროტოკოლის დანართის სახით. აღნიშნული გზამკვლევი წარმოადგენს მტკიცებულებებზე

დაფუძნებული მედიცინის საფუძველზე შემუშავებულ მართვის ალგორითმს პაციენტებისთვის ქრონიკული კორონარული სინდრომით, რომელიც მოიცავს ამ პაციენტთა მდგომარეობის მართვის ეტაპებს და მოქმედებათა თანმიმდევრობას, აღწერს ინტერვენციების ნაკრებს კლინიკური მართვის პროცესების ორგანიზებისთვის. გზამკვლევი ხელს შეუწყობს გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჩარევების დანერგვას, დაავადების მულტი დისციპლინური მართვის პრინციპების განხორციელებას და ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის ეფექტურ კოორდინაციას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეებს შორის მომსახურების ფრაგმენტაციას, დადებით ზეგავლენას მოახდენს საავადმყოფოს რესურსებზე და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსავლებზე, გააუმჯობესებს ქრონიკული კორონარული სინდრომის მართვის ეფექტურობას, კლინიკურ გამოსავლებს და პაციენტის გამოცდილებას.

ორივე დოკუმენტში დეტალურად არის ჩამოყალიბებული დაავადების რისკის შეფასების, დიაგნოსტიკური კვლევების, სამკურნალო ალტერნატივების, რეგულარული მეთვალყურეობის, რეფერალისა და ჰოსპიტალიზაციის შემდგომი მეთვალყურეობის პროცესები. განსაკუთრებით, აღსანიშნავია დიაგნოსტიკური პროცესისადმი საფეხურებრივი მიდგომა, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს სტენოკარდიის სტაბილური თუ არასტაბილური მიმდინარეობა და ობსტრუქციული კად-ის ალბათობა, გონივრულად შეირჩეს სადიაგნოსტიკო ტესტები და რაციონალურად იქნას გამოყენებული რესურსები. დეტალურად არის განხილული არამედიკამენტური და ფარმაკოლოგიური მართვის ალტერნატივები, პროტოკოლის რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და პრაქტიკულად განხორციელებადია პირველადი ჯანდაცვის არსებული რესურსების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროტოკოლი და კლინიკური გზამკვლევი „გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვა პირველად ჯანდაცვაში“ შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგად მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტები პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის, რომლებშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თანამედროვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები ქრონიკული კორონარული სინდრომის მართვის შესახებ და მათი დროული დანერგვა ხელს შეუწყობს კორონარული არტერიების დაავადების ეფექტურ მართვას და ათეროსკლეროზით განპირობებული კარდიო-ვასკულური დაავადებებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ პროტოკოლის დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.07.06 11:08:37